



**საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE**  
**BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი N11**

ქ. მარნეული

10.06.2016 წელი

**სხდომას ესწრებოდნენ:**

**ბიუროს წევრები:** - ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, ირაკლი ბურნაძე, ქამილ ალიევი, რაგიმ ასკეროვი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რამიზ გულმამედოვი, კოტე ბოჭოიძე, რაფიკ მუსაევი.

**სხდომას არ ესწრებოდა:** ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, გიორგი შუკაკიძე.

**სხდომას ესწრებოდა:** - მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე თეიმურაზ ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის N01-02 1176 წერილის განხილვის შესახებ.

**განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2016 წლის 9 ივნისის N01-02/1176 და მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 10 ივნისის N03/3751 წერილები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო პლაკატების გაკვრისა და გამოფენისათვის, მარნეულის მუნიციპალიტეტში ნებადართული ადგილების გამოყოფის შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2016 წლის მეათე სხდომა გამოცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევი